განკარგულება:**g-81. 81252202**
თარიღი:**08/08/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №42

2025 წლის 4 ოქტომბრის მორიგ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის და საქართველოს ორგანული კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. 2025 წლის 4 ოქტომბრის მორიგ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოყოფილ იქნეს შემდეგი შენობა-ნაგებობები და მიმდებარე ტერიტორიები:

ა) ქ. ცაგერის კულტურის სახლი და მიმდებარე ტერიტორია.
ბ) მწვანე თეატრი.
გ) ქ. ცაგერში ლადო ასათიანის სახელობის პარკი.
დ) მ. გვიშიანის სახელობის პარკი;
ე) ქ. ცაგერში არსებული სკვერები და თავისუფალი ადგილები, სადაც ხელი არ შეეშლება ტრანსპორტით მოძრაობას.
ვ) ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლის ცენტრები, მოედნები, თავისუფალი ტერიტორიები, სოფლის კლუბები და ბიბლიოთეკები.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: ,,2024 წლის 26 ოქტომბრის მორიგ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 აგვისტოს №27 განკარგულება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ცაგერი, რუსთაველის ქ №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com